## აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის რეკომენდაციები პუბლიკაციებთან დაკავშირებით

1. სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science–ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH–ის (European Reference Index of the Humanities) და სხვა მიერ;
2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის და სხვა მიერ;
3. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; უცხოეთში გამოცემული ყველა სამეცნიერო სტატია, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
4. ტექინფორმის მიერ რეფერირებული ჟურნალები.

### დამატებით რეკომენდირებული ჟურნალები:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“ არის ღია წვდომის მრავალდარგოვანი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც გამოდის სამ თვეში ერთხელ. „მოამბე“-ში იბეჭდება სამეცნიერო სტატიები ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში: მათემატიკური და ფიზიკური მეცნიერებანი, საინჟინრო, აგრარული და გარემოსდაცვითი, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებები.
2. KADMOS “კადმოსი” რეფერირებადი სამეცნიერო გამოცემაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებს ქართველოლოგიის დარგში, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობაში, ენათმეცნიერებაში, ფილოსოფიაში, კულტურულ ანთროპოლოგიასა (ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, მითოლოგია) და ისტორიაში (არქეოლოგია). ჟურნალი წელიწდეულია და გამოიცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით.
3. Caucasus Survey არის რეცენზირებადი, მულტიდისციპლინური ჟურნალი, რომელიც გამოდის წელიწადში სამჯერ და ეხმიანება ჰუმანიტარულ კვლევებს თანამედროვე კავკასიაში – სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს და რუსეთის ფედერაციის რეგიონებში. ასევე მოიცავს საკითხებს, რომელიც უკავშირდება აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო სუბიექტებს.
4. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია - ჟურნალის დამაარსებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია "ინტერნეტ აკადემია", და მას ეკუთვნის "Copyright" უფლება. ჟურნალის

მისამართია: http://gesj.internet-academy.org.ge/ge/edu/ ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება და შენახვა. ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალს პატრონატს უწევს: - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტატიების რეცენზირებას.

5. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა = Critical care and catastrophe medicine : ოფიციალური ჟურნალი = Official journal / კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი; სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

6. სოციალური ეკონომიკა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის და ახალცი ხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი.

7. ჟურნალი "ახალგაზრდა მკვლევარები" - აერთიანებს ქართველ მკვლევართა მიერ შექმნილ როგორც უახლეს ასევე წინა პერიოდში ბეჭდური სახით გამოცემულ სამეცნიერო სტატიების ელექტრონულ ვერსიებს. ანუ ჟურნალი ხელს უწყობს ქართველ მკვლევარებს საავტორო უფლებების სრული დაცვით, ინდივიდუალურად გამოაქვეყნონ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი საკუთარი ნაშრომები. მოიცავს მრავალდისციპლინარულ დარგებს: ბიზნესი, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები და ა.შ.

8. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში შესულია უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ დაწერილი სამედიცინო, ბიოსამედიცინო და სხვადასხვა საბუნებისმეტყველო თემატიკის სტატიები.

9. ჟურნალი ქართველი მეცნიერები The Journal Georgian Scientists = combines various works created by Georgian scientists. Offers broad interdisciplinary coverage of a wide range of subject areas, including business, humanities, social science, and science, technology and medicine.

10. სამეცნიერო ჟურნალი *კავკასია და მსოფლიო* არის გეოისტორიისა და გეოპოლიტიკის კავკასიის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პერიოდული, ყოველთვიური გამოცემა.

11. ჟურნალი მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები საერთაშორისო, რეცენზირებადი, რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი გამოდის წელიწადში ორჯერ.

12. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი *სპექტრი* წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პერიოდულ გამოცემას. იგი არის ღია წვდომის, მულტიდისციპლინური, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც გამოდის წელიწადში ორჯერ. ჟურნალში ქვეყნდება ნაშრომები ქართულად და ინგლისურად შემდეგ დისციპლინებში: მედიცინა, სტომატოლოგია, სამართალი, ბიზნესი და ტექნოლოგიები, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.
13. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი *ენა და კულტურა* - რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარებას, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას; კავკასიური, სლავური, ევროპული და ამერიკის ქვეყნების კულტურის, მეცნიერების, ტრადიციების, ლიტერატურის კვლევას და ურთიერთინტეგრაციას და კულტურათაშორისო დიალოგების ფორმირებას.
14. ჟურნალი *კულტურათაშორისი დიალოგები* რეფერირებადია, სტატიები ქვეყნდება რეცენზირების შედეგად. წინამდებარე შრომების კრებული შედგენილია SCOPUS-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორის მიხედვით. ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს. ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის ხარისხსა და შინაარსზე
15. *ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის შრომათა კრებული* სამეცნიერო კრებულში ვეხებით საკითხებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მინერალური და მცენარეული წარმოშობის ნედლეულის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შესწავლას. გამოქვეყნებული მასალის მახასიათებელია როგორც ბუნებრივი ნაერთების კვლევა, ასევე მათგან პოტენციური პრეპარატების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება.
16. TSU-TI საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში
17. *აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული* არის ორ ენოვანი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომლის მიზანია ცოდნის გაზიარება, სიახლის შექმნა, მეცნიერების განვითარება და სხვადასხვა დარგებში განხორციელებული უახლესი კვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ჟურნალი შესაძლებლობას აძლევს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პერსონალს, ახალგაზრდა მკვლევარებსა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებს გამოაქვეყნონ პრაქტიკული ღირებულიების მქონე სტატიები.
18. საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი *ერუდიტი* - გამოდის უმაღლესი სასწავლებლის "განათლების აკადემია" აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან წელიწადში ორჯერ ჟურნალის დამფუძნებელი – მარიამ მესხიშვილი

– ეფაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემია" მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე

19. International Journal of Cultural Studies - Sage Publications - Promotes a broad-ranging view of cultural studies bringing together articles from a textual, philosophical and social scientific background, as well as from cultural studies.
20. European Journal of Cultural Studies – Sage Publications – Addresses the centrality of culture to our understanding of human behaviour, identity, intersubjective experiences, emotions, development and language
21. Cambridge Quarterly of Healthcare Ethics - Cambridge University Press - Provides an international forum for the wide range of issues faced by members of health care ethics committees. Devoted to the practical application of bioethics in the delivery of health care.
22. Journal of Cross-Cultural Psychology is a peer-reviewed academic journal that covers research in the field of cross-cultural psychology published by SAGE Publications
23. Turkish Historical Review (Publisher: Brill is devoted to Turkish history in the widest sense, covering the period from the 6th century, with the rise of the Turks in Central Asia, to the mid-20th century. All contributions to the journal must display a substantial use of primary-source material and also be accessible to historians in general, i.e. those working outside the specific fields of Ottoman and Turkish history. Articles with a comparative scope which cross the traditional boundaries of the area studies paradigm are therefore very welcome
24. The Psychoanalytic Review – a leading forum of critical discourse in psychoanalysis, *The Psychoanalytic Review* is highly respected for its penetrating analyses of contemporary theory and practice. The journal devotes special issues to important themes and thinkers, and reviews current films and books that hold significance for the psychoanalytic community. Recent special issues have included: *Art and Psychoanalysis*, *Books in Depth*; and *Mass Migration*.